ალლაჰი მას სამოთხეში შეიყვანს მისი ნამოქმედარი საქმეების მიუხედავად

'უბადა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოგვცემს, რომ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ვინც დაამოწმა რომ, არ არსებობს ღვთაება, გარდა ალლაჰისა ერთადერთისა, რომელსაც არ ჰყავს მას მოზიარე, და რომ მუჰამმადი მისი მსახური და შუამავალია, და რომ 'ისა (იესო) ალლაჰის მსახური, შუამავალი და მისი სიტყვაა, რომელიც ჩაასახა მარიამში და ჩაჰბერა მას სული. სამოთხე შეჭმარიტებაა, ჯოჯოხეთი ჭეშმარიტებაა. ალლაჰი მას სამოთხეში შეიყვანს მისი ნამოქმედარი საქმეების მიუხედავად».

[სანდო (საჰიჰ)] [შეთანხმებული]

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ ვინც წარმოთქვამს ერთღმერთიანობის დამადასტურებელ სიტყვას, შეგნებულად თავისი მნიშვნელობით და მისგან გამომდინარე ქმედებების შესრულებით, დაამოწმებს მუჰამმედის (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ალლაჰის მსახურებას და შუამავლობას, აღიარებს 'ისას მსახურებას და შუამავლობას, და რომ ალლაჰმა ის გააჩინა სიტყვებით: "იყავ" და იქმნა, ასევე ის არის ალლაჰის მიერ გაჩენილი სულებიდან ერთ-ერთი სული, და უარყოფს ყველაფერს, რაც იუდეველებმა მის დედას (მარიამს) მიაწერეს, სწამს, რომ სამოთხე ჭეშმარიტებაა და ჯოჯოხეთიც ჭეშმარიტებაა, სწამს მათი არსებობის და რომ ისინი ალლაჰის წყალობა და სასჯელია. და თუ ის ამ მდგომარეობაში გარდაიცვლება, მისი წილი სამოთხეა, თუნდაც მას ჰქონდეს გამორჩენები მოვალეობების შესრულებაში და ცოდვები ჩადენილი.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/3417